შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა

სატენდერო დასკვნა

ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე შენობის დემონტაჟის დროს მომიჯნავე, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

თბილისი 2016 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.15.02.006.012) შენობის დემონტაჟის შემთხვევაში, მომიჯნავე, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.15.02.006.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე შენობა სამსართულიანია (იხ. სურ.1). და აგებულია XX ს-ის 30-იან წლებში. ადრე მასში განთავსებული იყო თბილისის ტუბერკულიოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტი, შემდგომ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ამჟამად კი კერძო კომპანიის საკუთრებაშია. აღნიშნულ შენობას სამხრეთის ფასადის მონაკვეთში, თარხნიშვილის ქუჩის გასწვრივ, ესაზღვრება თარხნიშვილის №2-ში მდებარე „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“ (პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. „ქართველი ხუროთმოძღვარი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ, პროექტის მთავარი არქიტექტორი კ. ძლიერიშვილი).

თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“ შედგება ნაირსიმაღლიანი, სამი ბლოკისაგან. სადემონტაჟო შენობის მომიჯნავე ბლოკი ათსართულიანია და გამოყოფილია სადემონტაჟო შენობისგან ანტისეისმური ნაკერით. უშუალოდ სადემონტაჟო შენობასთან შეხების ადგილას „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“ რვასართულიანია, შენობა კარკასულია (დამკვეთის მიერ მოწოდებულ იქნა შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ, განყოფილების უფროსი და შემსრულებელი შ. დოლიძე) და მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათის მიხედვით ირკვევა, რომ „საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი – ნაკლებად გამოფიტული თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, რომლის სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $Rc^{ნ}$=100 კგ.ძ/სმ^2. საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს ბურღვით-ნატენი ხიმინჯები და წიბოვანი ფილა, რომლებიც დაკავშირებულია რანდკოჭების მეშვეობით. ქვაბულის დამუშავების პროცესში გათვალისწინებულია არსებული (იგულისხმება სადემონტაჟო შენობა. ექსპერტი) შენობის საძირკვლის და მიმდებარე ქუჩის დაჭერა დახრილ ინექციურ ხიმინჯებზე მოწყობილირ.ბ. კედლის მეშვეობით“.

ვიზუალური დათვალიერებით, თარხნიშვილის ქუჩაზე №2-ში მდებარე

„მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს შენობის კონსტრუქციულ ელემენტებში ბზარები და დეფორმაციები არ შეინიშნება და მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია



სურ.1. სადემონტაჟო შენობის ხედი



სურ.2. სადემონტაჟო შენობისა და „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი-ს შეერთების ადგილები თარხნიშვილის ქუჩიდან და ეზოს მხრიდან

ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ამ მიზნით დამუშავებულია დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის მკაცრი დაცვით.

დემონტაჟის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საძირკვლების სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხელით, პნევმოჩაქუჩისა და ქვის საჭრელი აპარატების გამოყენებით.

დასკვნა

ჩატარებული კვლევების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, თარხნიშვილის №2-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია
2. ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე შენობის დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მითითებების გათვალისწინებით

ა) დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ამ მიზნით დამუშავებულია დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის მკაცრი დაცვით.

ბ) საძირკვლების სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხელით პნევმოჩაქუჩისა და ქვის საჭრელი აპარატების გამოყენებით.

გ) მომიჯნავე შენობასთან კედლები, გადახურვები და სხვა მზიდი კონსტრუქციები უნდა დაიშალოს ისე, რომ არ მოხდეს მომიჯნავე შენობის კონსტრუქციების დაზიანება

3. სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით
4. ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს საძირკვლების კონსტრუქციული გადაწყვეტა იძლევა იმის საშუალებას, რომ მელიქიშვილის ქ. №10–ში მდებარე შენობის დემონტაჟი არ იმოქმედებს ახლადაშენებული „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს შენობის უსაფრთხოებაზე.

ინჟინერ კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე

შპს „ედრი“ "EDRI" LTD GEORGIA